ჯანსუღ ჩარკვიანს
მეგობრულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

I942 წელი იყო. ომის მძიმე წელი. გამომცემლობაში /გამ. "ფედერაცია", შემდეგში "საბჭოთა საქართველო"/ რამდენიმე კაციღა დავრჩით. სამუშაო განახევრდა და შტატიც შემცირდა. გამომცემლობას, გეგმის მიხედვით, უნდა გამოეცა ლადო ასათიანის ლექსთა კრებული, რომელიც II ლექსს შეიცავდა. წიგნი ზომით $5^{I}/_{2}$x$7^{I}/_{2}$ იყო. დედანი წარმოებას გადაეცა I942 წ. 26/X და დასაბეჭდად ხელმოწერილი იყო I2/XI.

ლადო ხშირად აკითხავდა გამომცემლობას. ღელავდა და მოუსვენრობდა წიგნის აწყობისა და გასწორებისას /ზამთრის ცივ, სუსხიან ამინდში, არც თუ ისე თბილად ჩაცმული, ლადო ფეხით ჩამოდიოდა პლეხანოვის პროსპექტზე, გამომცემლობაში /ჩვენი გამომცემლობა ბაღის სიღრმეში იყო/ სტამბაც იქვე, გვერდით/. ქუჩიდან ბაღში შემოსულ ლადოს იმწუთსავე თვალს მოვკრავდი, რაგინდ სამუშაოთი არ ვყოფილიყავი გართული. ვწუხდი, რომ ასეთი ჩაცმულობით, თხელი, საზაფხულო შავი პალტოთი, ასეთ სიცივეში, ასეთ დიდ მანძილზე ფეხით სიარული მას სიკეთეს არ დამართებდა. შემოვიდოდა ბაღში, თითქოს არწივი შემოფრინდაო, ეს ლამაზი ჭაბუკი ფართო მხრებითა და ფართო ნაბიჯით. თვალებანთებული, ლოყებაწითლებული დამნაშავე ბავშვივით შემოაბიჯებდა ოთახში. მოკრძალებით შემოგვხედავდა, ჩუმი სალამით. მე დაბეჯითებით ვთხოვდი ყოველთვის, არ ევლო გამომცემლობაში, დაეზოგა დრო და ენერგია, მით უმეტეს, რომ მის მოცულობით პატარა წიგნს არავითარი ხიფათი არ მოელოდა. უკვე გამზადებული მქონდა მთავლიტში გასაგზავნად, დაბეჭდვას ხომ რაღა უნდოდა. ორი დღის საქმე იყო. სანამ სამთავლიტოდ გამზადდებოდა, სულ იმის კითხვაში იყო, ხომ არაფერი შესწორებულა გამომცემლობაში, ან ლექსი "ნადირობის შემდეგ" ხომ არაფერ წინააღმდეგობას იწვევსო. რატომღაც ამ ლექსს უტრიალებდა ლადო. ეს ლექსი ბოლო ლექსად მოვაქციე წიგნში, თითქოს გადავმალე, ხიფათს ავაცილე. მინდოდა საბოლოოდ დამემშვიდებინა ლადო. და სწორედ ამ ლექსის გამო დამიბარა ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გამომცემლობის პოლიტრედაქტორმა. შევკრთი, არ მესიამოვნა. ვიცოდი თუ მოინდომებდა, ხელად ამოაგდებდა წიგნიდან.

– ყველაფერი რიგზეა, – გადმომხედა სათვალეებიდან – მაგრამ რატომ გეფდავთ ამ დექსს "კანტოვკად"?? ვფიქრობ, უკეთესია იყოს...

– დიახ, თქვენ მართალი ხართ, – ალარ დავამთავრებინე სიტყვა, – ამ დექსს წინ გადავიტან, ასე აჯობებს, რა თქმა უნდა – მოუთმენლად წავატანე დასაბეჭდ ფორმებს ხელი და მის თვალწინ შევცვალე პაგინაცია. – "გასიანის გრძოლით" – დავამთავრებთ ამ წიგნს. გარემ დღესვე გავუგზავნი მთავლიტს. – ვთქვი და გულაძგერებული, ნაძალადევი სიცილით ოთახიდან გამოვედი.

– კი, ასე აჯობებს – მომაძახა მან და მეც თავისუფლად ამოვისუნთქე.

ადგოს მწერალთა კავშირში დავურეკე, დავამშვიდე. ვთხოვე ალარ ჩამოსულიყო. მთავლიტს არავითარი შესწორება-შენიშვნა არ შეუტანია, წიგნის დაბეჭდვის ნებართვა მოგვცა. დაიბეჭდა წიგნი, აიკინძა, ყდაში ჩასხვეს და კონებად შეკრული წასაღებად მზად ეწყო სტამბაში. ასე ეწყო ეს კონები 1942 წლის ნოემბრიდან 1943 წლის იანვრამდე.

ერთ დღეს, იანვარი იყო, რიცხვი ალარ მახსოვს, ადგო ჩამოვიდა გამომცემლობაში და მთხოვა მიმეცა მისთვის საავტორო წიგნები. გამომცემლობის უფროსი მწერალთა კავშირში იყო, ამიტომ ვუთხარი საწ. განყ. უფროსს გამოეწერა ადგოსთვის 10 ცალი წიგნი. წიგნის გავრცელებაზე რამდენი ხანია ნებართვა მიღებული გვქონდა და გამიკვირდა, თუ რატომ ამდენ ხანს არ ჰქონდა მიღებული საავტორო წიგნები. ერთი წიგნი, კარგი, მედმეტად კარიგი წარწერით მე მომცა, რასაც დღესაც და მუდამ სიყვარულით ვინახავ.

ლადომ წიგნი გადაათვალიერა. მეოთხე გვერდზე ლექსში "კრწანისის ყაყაჩოები" შენიშნა, რომ სტრიქონის დასაწყისში შრიფტი, ასო მ ჩამოტეხილია. არის - ა ეს ბებერი კრწანისი. უნდა იყოფილიყო - მა ეს ბებრი კრწანისი. მე17 გვერდზე გაასწორა კორექტურა - ჩვენი ჯავრი... უნდა ყოფილიყო - ჩვენი ჯავარი... შემდეგ 28-ე გვერდზე ისევ კორექტურა: - მრჯვნივ... უ.ყ. - მარჯვნივ. ესეც გაასწორა. 25-ე გვერდზე ლექსში "ბასიანის ბრძოლა", მას ჰქონდა - კარვებზე დაჯდნენ ნისლები. გააკეთა - დასხდნენ ნისლები... ლადომ წიგნი ისევ შეათვალიერა, გადაფურცლა ისევ, მშვიდი, ბედნიერი სახით შემომხედა, მადლობა თქვა და დინჯი ნაბიჯით წავიდა.

როგორც ვიცი, მწერალთა კავშირში მისვლისას, მან ეს წიგნები გადასცა მათ, ვისთვისაც საჭიროდ თვლიდა. იქვე, სულ მალე, დაიწყო დიდი უსიამოვნება, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა. გამომცემლობის უფროსს /წიგნის რედაქტორს/ სასტიკი საყვედური უთხრეს იქვე, კავშირში, თუ როგორ დაბეჭდა მან ასეთი წიგნი. ჯერ ის, რომ წიგნს ჰქვია "წინაპრები" და რა დროს წინაპრებია ამ დიდი ომის დროს. მეორეც ის, რომ წიგნში სულ პატრიოტული ლექსებია /მესამეც ის, რომ - წესად იყო მიღებული წიგნის პირველ ფურცლებზე დაბეჭდილიყო მესვეურებისადმი ხოტბა-დიდება - ასეთი კი ლადოს პატარა წიგნს არ გააჩნდა!/

ტელეფონთან დამიძახეს. სასტიკი საყვედური მითხრეს საავტორო ცალების გაცემისათვის. მე მართალი ვიყავი მორალურადაც და იურიდიულადაც, ამიტომ ტელეფონით ლაპარაკმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო.

მწერალთა კავშირიდან დაბრუნებულმა გამომცემლობის უფროსმა მითხრა:
- ადით საამკინძაოში და ნახეთ, რა ხდება იქ!

ავედი საამკინძაოში. ვნახე - ლადოს წიგნებს ყდას აცლიან. "ყდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა შეეცვალონ, ალბათ "წინაპრების" მაგივრად სხვა რაღაცას დაარქმევენ წიგნს, ან იქნებ ფასი უნდათ შეეცვალონ, ასეთი შემთხვევები ყოფილა ჩვენთან", გავიფიქრე. სხვა რაიმე ჩემთვის წარმოუდგენელი იყო. საამქროს უფროსს შევეკითხე, თუ რა მიზეზით აცლიდნენ ყდას. ასეთია განკარგულებაო, მითხრა. საამკინძაოდან გასული რამდენიმე ხანს დავყოვნდი სხვა საამქროებში. საამქროდან რომ გამოვედი, ახლა ისევ სხვამ გამაფრთხილა, მენახა თუ რა ხდებოდა საამკინძაოში. გაკვირვებული ისევ გავბრუნ დი საამკინძაოსკენ, ახალი რა უნდა მომხდარიყო? რა ვნახე! ლადოს წიგნების შემოჯარული იყო გილიოტინის ირგვლივ /ქაღალდის საჭრელი მანქანა/ მაშინღა მივხვდი, რომ ლადოს წიგნებს დაჭრას უპირებდნენ! /თვეობით ეწყო იქ ლ. ავალიანის მოთხრობები კონებად და ვინმე ესებუას ლექსები. ახ ალი დადგენილების თანახმად, ეს მდარე ხარისხის ლიტერატურა მაკულატურისთვის უნდა გადაეცათ, - მათ მიაყოლეს ლადოს წიგნებიც/.

ის იყო საამქროს უფროსმა წიგნების კონა შეაწყო დანის ქვეშ და თი ხად გადასერა, რომ ხელებში ვეცი: შენი ჭირიმე, ანიკო, სულ ცოტა მოიცადე. ამას ყოველთვის მოასწრებ. რა უნდა ამათ დაჭრას, წუთების საქმეა ვაი თუ ნაადრევია ეს განკარგულება, დასანანად არ გაგვიხდეს! მე დამელოდე, ახლავე დავბრუნდები, იცოდე უჩემოდ ხელი არ ახლო. ტელეფონი პირველ სართულზე იყო. უნდა მეცნობებინა ლადოსთვის, თუ რაც ხდებოდა. მაგრამ როგორ მეთქვა! კიბეზე ვიდექი გაოგნებული. რა მეღონა, რა მეთქვა. ამომძახეს ტელეფონთან გთხოვენო. ლადო მეძახდა. არ ვიცი რა იგრძნო, რო გორ იგრძნო, რაც აქ ხდებოდა. ყურმილი ავიღე. ლადოს ხმა მომესმა უჩვეული, გაგუდული ხმა: - როგორ არის პატ. მარიკა საქმე. რა ხდება მანდ. იმ ქარტეხილს, რაც აქ მე დამატყდა, ცუდი შედეგი ხომ არ მოჰყოლია? მე თქვენი მჯერა. ვიცი სიმართლეს მეტყვით. რა დღეშია ჩემი წიგნები?

ერთ წამს ენა დამება. ხმის ამოღება ვერ შევძელი. რა მექნა, როგორ მეთქვა, რომ მისი წიგნები გიღიოტინაზე აწყვია თავის მოსაკვეთად გამზადებული. ვაი თუ ცუდად გაგდეს, პირიდან სისხლი წასკდეს, ვაი თუ დაიღუპოს ღადო, გამიელვა თავში. არადა, ის ჩემგან სიმარდეს მოითხოვდა. როგორც იქნა თავს მოვერიე, ხმა ამოვიღე და დამაჯერებლად ვუთხარი: აბდავე უშველეთ, ღადო, თქვენს წიგნებს, მერე გვიანღა იქნება. იქნებ გყავთ ვინმე კეთილისმყოფელი ზემდგომ ორგანოში. წადით, თხოვეთ, გადავარჩინოთ წიგნები. ნუ დაკარგავთ, თორემ მერე გვიან იქნება /როგორც მაშინ მითხრეს ზემდგომ ორგანოში, ვინც ამ საკითხს წყვეტდა მისგან უკვე მიღებული ჰქონდათ წიგნების მოსპობის სანქცია/!! ღადომ უხმოდ დაკიდა მიღი. მე კი ზემოთ მელოდნენ, მელოდნენ დიდხანს. მე პატარა კაცი ვიყავი, ალარაფერი შემეძლო. მელოდნენ მეორე სართულზე პასუხისათვის, რომ ბრძანება სისრულეში მოეყვანათ...

დღის ბოლოს მწერალთა კავშირში მივდიოდი. მაჩაბლის ქუჩაზე რომ გავუყევი, შევხვდე ღადომ ლერმონტოვის ქუჩა გადაჭრა. სიკვდილი მერჩია მის შეხვედრას. სადღა წავსულვიყავ! ამ ორ-სამ საათს დაეძებენია, მოეტეხა ეს ღამაზი ვაჟკაცი. თვალებში სხივი ჩაქრობოდა, ჩვეულებრივი ავადმყოფური სიწითლეც ალარ დაჰკრავდა მის სახეს. მიწის ფერი დადებოდა. მე უხმოდ ვიდექი მის წინ.

- ვერაფერი შევძელი. მე არავინა მყავს ზემოთ მშველელი, რომ გადამერჩინა ჩემი წიგნები. ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. ხედავთ, როგორ ვარ! დიდი დღე ალარ მიწერია. მადე გამეთხრება სამარე. ჩემი დაჭრილი წიგნები დამაყარონ გულზე, მით ამოავსონ ის ორმო. ნუ გადაყრიან ჩემ დაჭრილ დექსებს, მიწით ნუ დამიმძიმებენ სხეულს. ჩემი დექსები ჩემთან დარჩებიან. ასე გადაეცით ამ საქმის მესვეურებს.

ულმოდ, თავდაბრიდი, დამნაშავესავით ვიდექი მის წინ. ასე ულმოდ დავშორდით ერთმანეთს. ხელი ულონოდ ჩამომართვა და ფეხარეული გაუდგა გ გზას.

ამის შემდეგ მძიმე ავადმყოფი შეიქნა ლადო. ერთ ხანს ფეხზე წამოდგა. ჯერ ისევ გამთრის სიცივეები იყო. მწერალთა კავშირში ადიოდა, სანამ შეეძლო. შევიდოდა ბიბლიოთეკაში, დაჯდებოდა რადიატორთან და თბებოდა, იჯდა თავჩაღუნული, დაფიქრებული /იქ ზოგიერთი ობივატელი ჯავრობდა, შემოვა ლადო ასათიანი ბიბლიოთეკაში, მიუჯდება რადიატორს და ჰაერს ფლექის ბაცილებით ავსებსო!/

გაგაფხულზე საბოლოოდ ჩავარდა ლოგინში ლადო. ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა მენახა, ფიფსუდიყავი მასთან. მე, მასზე უფროსს, მერიდებოდა ლადოსი. მეშინოდა, ჩემი მისვლით უფრო მწვავედ არ ეგრძნო თავისი მძიმე მდგომარეობა. ორჯერ ვნახე მხოლოდ, მწოლიარე. უკანასკნელად რომ მივედი, ლადო სიცხით გათანგული იწვა, იწვა და იწვოდა, აწითლებულ ლაწვებს, ანთებულ თვალებს თითქოს ალმური ასდიოდა. ბორგავდა ულმოდ. აღბათ ჰაერიც არ ჰყოფნიდა. ის ხომ ოთახი არ იყო, სადაც ის ცხოვრობდა! - იქ, სადაც ის იწვა იმ სენაკს წინათ "ლიუდსკაიას" ეძახდნენ. ფანჯარა არ ჰქონდა და არსაიდან ჰაერი არ იწმინდებოდა. საწოლის თავი და ბოლო კედელს იყო მიბჯენილი. ეს იყო იმ სენაკის სიგანე /ვაგლახ, ახლა და იმ დროსაც/ კომფორტულ ბინებს იწუნებენ და უკეთესზე იცვლიან, ვინც ვერც ნიფით და გონებით, თავისი სინიდისითა და ვაჟკაცობით ახლოს ვერ მივიდოდა ლადოსთან/. მივედი და მივუტანე 400 გრ-მდე თეთრი ჰური და შემწვარი თევზი. მე შემთხვევით ვიშოვე ეს საოცნებო ულუფა და ჩემთვის როგორ გავიმეტებდი! ძნელი და მძიმე დრო იყო, მეგონა ამ მცირე ულუფით რაღაც დახმარებას ვუწევდი. სხვა არა შემეძლო რა, უძღური ვიყავი. მას პატრონობას არ აკლებდა, თავს დასტრიალებდა მისი ერთგული მეუღლე ა. ვ., მაგრამ რას გახდებოდა იმ გაფირვებულ დროს. ულმოდ და უღრტვინველად უმკლავდებოდა

გასაჭირს, რაც ბედმა არგუნა. ამის შემდეგ მე ლადო აღარ მინახავს.

ომის მძიმე პირობებში ჩემმა გაჭირვებამ, ორი მცირეწლოვანი შვილისდედა იძულებული გამხადა გამომცემლობა მიმეტოვებინა. ჩემმა მეგობრებმა იზრუნეს და თბილისის ახლოს, ვითომ ისეთი სამუშაო მიშოვეს, რომ ზაფხულში უფრო იოლად შვილების გამოკვებას შევძლებდი. ჩემთვის იქაც ისეთივე პირობები იყო: მე 400 გრ შავ პურს და ჩემი შვილები 300-300 გრ პურს ვიღებდით. ჩემს ირგვლივ სხვები? სხვები უზრუნველად და ლაღად ცხოვრობდნენ! მშველოდა ბაღი, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით.

და როცა ყვავილები გაიშალა. ხილიც დამწიფდა - მოვემზადე ლადოსთან წასასვლელად. რატომღაც იმედი მქონდა მომჯობინებულს ვნახავდი ლადოს. წასვლის წინ დავრეკე მწერალთა კავშირში. ამბავი ვიკითხე. ნაცნობმა ხმამ გაკვირვებით მიპასუხა: - როგორ, შენ არ იცი, რომ ლადო სამი დღის წინ 26 ივნისს დავკრძალეთ?

მარიკა ჯაფარიძე

1975.